ოზურგეთის მუნიციპალიტეტის მერის თანამდებობის დასაკავებლად არჩევნების მეორე ტური გაიმართება

21 ოქტომბერს, ადგილობრივი თვითმმართველობის არჩევნებში ოზურგეთის №-60 საარჩევნო ოლქში არჩევნებში მონაწილეობა მიიღო 35 639 ამომრჩეველმა, ანუ ამომრჩეველთა 57,21 პროცენტმა.

21 ოქტომბრის ადგილობრივი თვითმმართველობის არჩევნების შედეგების მიხედვით მერობის კანდიდატები არჩევნების მეორე ტურს გამართავენ: ყაზბეგის №29, ხაშურის №35, ხაშურის №36, ქუთაისის №59, ოზურგეთის №60, მარტვილის №65 საარჩევნო ოლქებში.

ოზურგეთის №60 საარჩევნო ოლქში ოზურგეთის მუნიციპალიტეტის მერობის კანდიდატმა „ქართული ოცნებიდან“ **ბეგი სიორიძემ** 43,39 პროცენტი მიიღო, ხოლო დამოუკიდებელმა კანდიდატმა **კონსტანტინე შარაშენიძემ** – 41,81 პროცენტი. არჩევნების მეორე ტურის გამართვის თარიღს ცესკო 1 ნოემბრამდე გამოაქვეყნებს. დანარჩენმა კანდიდატებმა ხმის შემდეგი რაოდენობა მიიღეს: **მიხეილ გოგოტიშვილი** –6,16%; **გოჩა ძიმისტარიშვილი** –0.89%; **თორნიკე გოგუაძე**–6,23%; **დავით მამალაძე** – 1,25%; **კობა ჯორბენაძე** – 0,25%.

პარტიებმა ხმების შემდეგი რაოდენობა მიიღეს:

№2 ბაქრაძე-უგულავა –3270 ხმა (9,75%);

№3 ბლოკი „ბურჯანაძე-დემოკრატები“–720 ხმა (2, 15%);

4. ედმ – 60 ხმა (0,18%);

5. „ერთიანი ნაციონალური მოძრაობა“– 4435 ხმა (13,22%);

6. რესპუბლიკური პარტია – 305 (0,96%);

8. „პატრიოტთა ალიანსი“ – 3378 ხმა (10,7%);

10. საქართველოს ლეიბორისტული პარტია – 1529 ხმა (4,56%);

31. ბლოკი „თავისუფლება“ –ზვიად გამსახურდიას გზა –267 ხმა (0,80%);

41. „ქართული ოცნება-დემოკრატიული საქართველო“– 19 574 ხმა (58,36%).

არჩევნების შედეგების მიხედვით „ქართული ოცნების“ პარტიული სიიდან მუნიციპალიტეტის საკრებულოს დეპუტატები გახდნენ: **დავით დარჩია, გიორგი ღურჯუმელიძე, მარიკა ჩხიკვიშვილი, ლავრენტი ბიგვავა, ქეთი ვასაძე, ბახვა დოლიძე, ხათუნა ცერცვაძე, გეგა ჩავლეიშვილი, ვასილ ჩიგოვიძე**; პარტიული სიით 2-2 მანდატს მიიღებენ: „ერთიანი ნაციონალური მოძრაობა:“– **შალვა თავდიშვილი, თორნიკე გოგუაძე;** „პატრიოტთა ალიანსი“: – **შოთა გოგიბერიძე, ნანული ორაგველიძე;** „ევროპულ საქართველოს“, „ლეიბორისტულ პარტიას“ საკრებულოში თითო დეპუტატი ეყოლება. ესენია: **მიხეილ გოგოტიშვილი, დავით მამალაძე.**

რაც შეეხება მაჟორიტარებს, ქ. ოზურგეთის მაჟორიტარულ ოლქებში „ქართული ოცნებიდან“ **ლელა საჯაიამ** (58,18%) **,ლევან თოიძემ** (66,98%) და დამოუკიდებელმა დეპუტატმა **ლევან მგელაძემ** (42,19%) გაიმარჯვეს.

დაბებისა და სოფლების მაჟორიტარი ოლქებიდან 2 ოლქში „ერთიანი ნაციონალური მოძრაობის“ წარმომადგენლებმა გაიმარჯვეს: დაბა ნასაკირალში –**ბესო ქათამაძემ**; სოფელ ჭანიეთში –**დავით მჟავანაძემ,** ხოლო სოფელ გურიანთაში დამოუკიდებელმა კანდიდატმა **მაია ზოიძემ** გაიმარჯვა.

„ქართული ოცნებიდან“ მაჟორიტარებს შორის ყველაზე მაღალი შედეგი სოფელ კონჭკათში დაფიქსირდა, ხოლო ყველაზე დაბალი შედეგი –სოფელ ასკანაში.

დაბებისა და სოფლების შედეგები ასეთია:

ასკანა – **ლევან ნინიძე** (39,2 %);

ბახვი – **ეროდი გორდელაძე** (44,71%);

ბოხვაური – **გელა ჩავლეიშვილი** (70,65%);

გურიანთა – **მაია ზოიძე** (42,76-%);

დვაბზუ – **როზეტა სკამკოჩაიშვილი** (41,43%);

ვაკიჯვარი – **ვახტანგ ნიჟარაძე** (63,62%);

კონჭკათი – **გელა არაშიძე** (92,96%);

თხინვალი –**ვალერიან ჩხაიძე** (67,98%);

ლაითური – **გიორგი ჩაგანავა** (50,91%);

მერია – **ალექსანდრე ღლონტი** (43.03);

მელექედური – **ლევან კილაძე** (55,54%);

ნარუჯა – **ვალოდია ბერიძე** (61,04%);

ნაგომარი – **ჯემალ თავართქილაძე** (63,31%);

ნასაკირალი – **ბესო ქათამაძე** (59,9%);

ურეკი – **გოჩა მდინარაძე** (58,91 %);

ლიხაური – **გიორგი თოიძე** (68,49%);

მაკვანეთი – **ბექა თოიძე** (61,-49%);

ნატანები – **თამაზ ტულუში** (44,64%);

მთისპირი – **ვლადიმერ ჩავლეიშვილი** (57,57%);

სოფ. ოზურგეთი – **ვლადიმერ ღლონტი** 43,07%);

სილაური – **გოჩა კილაძე** (75,-94%);

შემოქმედი – **თამაზ ბურჭულაძე** (44,57%);

შრომა – **დავით ჭაკნელიძე** (73,58%);

ცხემლისხიდი – **ლალი სიჭინავა** (46,61%);

ჭანიეთი – **დავით მჟავანაძე** (55,-79%);

ძიმითი – **ტიტე მგელაძე** (57,-26%);

ა ლ ი ო ნ ი

უძველესი გაზეთი უახლესი ინფორმაციებით!

გაზეთი გამოდის 1931 წლის 5 იანვრიდან

საზოგადოებრივ-პოლიტიკური გაზეთი.

ყოველკვირეული გამოშვება. № 42 (10236) 30 ოქტომბერი, 2017 წ. ფასი 50 თეთრი.

ექვთიმეობა სოფელ ლიხაურში

სახალხო დღესასწაული ექვთიმეობა ოზურგეთის მუნიციპალიტეტის სოფელ ლიხაურში მასშტაბურად აღინიშნა ჯერ ექვთიმე სახლმუზეუმში ჩატარდა საამეცნიერო კონფერენცია წმინდანის ცხოვრებისა და მოღვაწეობის შესახებ, შემდეგ კი მოეწყო სხვადასხვა ღონისძიებები: გაიმართა ხალხური რეწვის ნიმუშების გამოფენა, სადაც გამოტანილი იყო მართლაც უნიკალურად შექნილი ნამუშევრები; ადგილობრივი ფოლკლორული და ქორეოგრფიული ანსამბლების - „რეხეულის“, „ზენაარის“, „კოლხას“, „აისის“, „ურეკისა“ და მგალობელ-მომღერალთა გუნდ „შემოქმედის“ მონაწილეობით გაიმართა გალა კონცერტი.

ლიხაურში მცხოვრებ რამდენიმე პიროვნებას მიენიჭა ლიხაურის საპატიო მოქალაქის წოდება, რომელთაც ჯილდოები და სპეციალური სიგელები გადასცეს ოზურგეთის მუნიციპალიტეტის გამგებლის მოვალეობის შემსრულებელმა არჩილ ყაზაიშვილმა და საკრებულოს თავმჯდომარემ დავით დარჩიამ.

საპატიო ლიხაურელები გახდნენ: მედიცინის დარგში გაწეული განსაკუთრებული წვლილისათვის - **სულიკო ქილიფთარი; ს**ოფლის მეურნეობის დარგის განვითარებაში შეტანილი წვლილისათვის - **რევაზ გორგოშიძე;** სასულიერო მოღვაწეობისათვის - დეკანოზი **მამა მათე (გორდელაძე);** სკოლამდელ აღზრდაში გაწეული განსაკუთრებული წვლილისთვის - **ლალი დობორჯგინიძე-სალუქვაძე.**

აქვე აკადემიკოს **ლევან ვაშაყმაძეს** მიენიჭა ოზურგეთის მუნიციპალიტეტის საპატიო მოქალაქის წოდება.

ღონისძიება დამთავრდა გრანდიოზული ფოიერვერკით.

როგორ გამოიყენებენ სემინარზე მიღებულ თეორიულ ცოდნასა და პრაქტიკულ გამოცდილებას გურიაში მოღვაწე ფერმერები აზიური ფაროსანას წინააღმდეგ

ალიონი. 26 ოქტომბერს სოფლის მეურნეობის სამინისტრომ, სოფლის მეურნეობის მინისტრის მოადგილის რევაზ ასათიანის თაოსნობით, ოზურგეთის მუნიციპალიტეტის ადმინისტრაციული შენობის სააქტო დარბაზში გამართა სემინარი თემაზე ერთად ვებრძოლოთ აზიურ ფაროსანას, რომელმაც ამ ბოლო წლებში, განსაკუთრებით წლეულს, მნიშვნელოვანი ზარალი მიაყენა მეთხილეობას, ასევე სხვა სასოფლო-სამეურნეო კულტურებს.

სტუმრებმა – სოფლის მეურნეობის სამინისტროს სამეცნიერო-კვლევითი ცენტრის მებაღეობა-მევენახეობის სამსახურის უფროსმა, ასოცირებულმა პროფესორმა **ზვიად ბობოქაშვილმა**, სოფლის მეურნეობის სამინისტროს რეგიონებთან კოორდინაციის დეპარტამენტის უფროსმა **შალვა კერესელიძემ,** სოფლის მეურნეობისა და სურსათის დეპარტამენტის უფროსმა **თენგიზ კალანდაძემ,** ასევე საქართველოს სოფლის მეურნეობის სამინისტროს სამეცნიერო-კვლევითი ცენტრის და სურსათის უვნებლობის ეროვნული სააგენტოს სხვა წარმომადგენლებმა ჯერ ამომწურავად ისაუბრეს თხილის პლანტაციების გაშენებისა და თხილის კულტურის მოვლა-მოყვანის საკითხებზე, თხილის პლანტაციებში დღეს არსებული ფიტოსანიტარულ მდგომარეობაზე, ხოლო შემდეგ სემინარის რეგლამენტით გათვალისწინებული დრო მთლიანად დაუთმეს აზიური ფაროსანას წინააღმდეგ ჩატარებულ და ჩასატარებელ ღონისძიებებს.

სემინარს ესწრებოდნენ გურიის რეგიონის მუნიციპალიტეტებში მოღვაწე ფერმერები, სოფლის მეურნეობის დარგის სპეციალისტები, მუნიციპალიტეტების საზოგადოებასთან ურთიერთობის სამსახურების ხელმძღვანელები, არასამთავრობო ორგანიზაციების წარმომადგენლები.

კითხვა-პასუხის რეჟიმში ჩატარებულმა სემინარმა აჩვენა, რომ საარჩევნო პერიოდში პოლიტიკური პარტიების, საარჩევნო სუბიექტებისა თუ პოლიტიკოსების მიერ ოპონენტთა მიმართ აზიური ფაროსანას ერთგვარ პოლიტიკურ იარაღად გამოყენება გაუმართლებელი და არალოგიკური იყო, რადგან, სპეციალისტების თქმით, მავნებლის წინააღმდეგ, მისი შემჩნევიდან დღემდე, ბევრი რამ გაკეთდა. სულ სხვა საკითხია, რამდენად დროული და ეფექტური დარჩა გატარებული ღონისძიებები.

აზიური ფაროსანა (აზიური ბაღლინჯო - **Halyomorpha halus**) ის მავლებელია, რომელსაც შეუძლია დააზიანოს 300-მდე სახეობის ხეხილოვანი, ბოსტნეული, დეკორატიული და ტყის მცენარეები.

აზიური ფაროსანა გავრცელებულია აშშ-ში, შვეიცარიაში, იტალიაში, საფრანგეთში, გერმანიაში, უნგრეთში, საბერძნეთში, რუმინეთში, ბულგარეთში, რუსეთში (კრასნოდარის მხარეში) და სამწუხაროდ, გავრცელდა საქართველოშიც. იგი პირველად ჩინეთში იქნა შემჩნეული, საიდანაც სხვადასხვა დარგში ჩინეთ-აშშ-ს აქტიური თანამშრო-

გვ-3

გაზეთი „ალიონი“ სარეკლამო მომსახურების ტარიფები

– მე-2 მთლიანი გვერდის (648 კვ.სმ) ღირებულება 120 ლარია;

– მე-3-7 (თითოეული 810 კვ. სმ) მთლიანი გვერდებისა – 150-150 ლარი;

– 1-ლი, ფერადი გვერდი მთლიანად (810 კვ. სმ) არ იყიდება, ნახევარი გვერდის (405 კვ. მ) ღირებულება 300 ლარია;

– ბოლო, მე-8, ფერადი გვერდი მთლიანად 300 ლარი ღირს;

– შიდა შავთეთრ გვერდებზე ფერადი ბეჭდვის შემთხვევაში გვერდის საფასური 50 ლარით იზრდება.

– პოლიტიკური რეკლამის ღირებულება ორმაგია;

– მილოცვა ფერად გვერდზე 32,40 კვ. მ-ზე, სურათით - 20 ლარი;

– სამგლოვიარო განცხადება - სიტყვა 25 თეთრი, პლუს სურათი (5X6 სმ) - 2 ლარი;

– გახსენება, ნეკროლოგი – სიტყვა 20 თეთრი, პლუს სურათი (5X6 სმ) - 2 ლარი;

საცალო ფასი: 50 თეთრი,
ხელმოწერა:
ერთი თვით – 2 ლარი,
სამი თვით – 6 ლარი,
6 თვით –12 ლარი,
ერთი წლით – 24 ლარი.

გაზეთში გამოქვეყნებული მასალების შინაარსი შეიძლება არ ემთხვეოდეს რედაქციის თვალსაზრისს.

ავტორები თვითონ არიან პასუხისმგებელი ინფორმაციის სიზუსტეზე.

რედაქციაში აუდიოჩანაწერები ინახება ორი კვირის განმავლობაში, ამ ვადის გასვლის შემდეგ პრეტენზიები აღარ მიიღება.

რედაქცია ავტორებისაგან არ მიიღებს სამ ხელნაწერ გვერდზე მეტ მასალას.

გამოქვეყნებული მასალების გადაბეჭდვა აკრძალულია რედაქციიდან ნებართვის გაცემის გარეშე.

სარედაქციო კოლეგია

რედაქტორი
ნუგზარ ასათიანი
nugzarasatiani@rambler.ru
558 499100

საინფორმაციო სამსახურის ხელმძღვანელი:
თემურ მარშანიშვილი
tem52@mail.ru
599 373515

კომპიუტერული უზრუნველყოფა
გიორგი გოგოლაძე
gia_77@mail.ru
551 576060

რედაქციის მისამართი: ქ. ოზურგეთი, გაბრიელ ეპისკოპოსის ქ.№3
ტელ: 558 499 100 გაზეთი რეგისტრირებულია ოზურგეთის რაიონულ სასამართლოში 18. 11. 2004 №44/4-311
გაზეთი იბეჭდება გამომცემლობა „მერიდიანში“
მის: თბილისი, ვ. ბაგრატიონის ქ. №77

დაინყეთ ყოველი ოჰშაბათი ალიონზე

«ალიონით»

არჩილ თალაკვაძე: ოპოზიციური პარტიები ინსტრუქციას იძლევიან, რომ საარჩევნო უბნებზე რაც შეიძლება მეტი საჩივარი დაიწეროს

„ოპოზიციური პარტიები საკუთარ წარმომადგენლებს ინსტრუქციას აძლევდენ, რომ საარჩევნო უბნებზე რაც შეიძლება მეტი საჩივარი დაეწერათ“, - ამის შესახებ „ქართული ოცნება - დემოკრატიული საქართველოს“ თბილისის მერობის კანდიდატის, კახა კალაძის საარჩევნო შტაბის ხელმძღვანელმა, **არჩილ თალაკვაძემ,** პარტიის ოფისში გამართულ ბრიფინგზე განაცხადა.

თალაკვაძის თქმით, აღნიშნული ინფორმაცია, პარტიამ არაერთი საარჩევნო უბნიდან მიიღო, რაც იმას ნიშნავს, რომ ოპონენტები, საჩივართა რაოდენობით, ამომრჩეველთა განწყობაზე ზეგავლენის მოხდენას ცდილობდნენ.

„მიუხედავად ამისა, მსგავსმა ფაქტებმა არჩევნებზე ვერანაირი გავლენას ვერ მოახდინა,არჩევნები დილიდან თავისუფალ და მშვიდ ვითარებაში მიმდინარეობდა. კვლევებით, „ქართულ ოცნებას“ მოსახლეობის დიდი მხარადაჭერა ჰქონდა და ის, რომ გაყალბება არც ერთ უბანზე არ იქნა დაშვებული, პირველი რიგში ჩვენს ინტერესებში შედიოდა“, - აღნიშნა მან.

რაც შეეხება განცხადებებს ამომრჩეველთა აქტივობის აღრიცხვასთან დაკავშირებით, თალაკვაძის განმარტებით, ამომრჩეველთა აქტივობის აღრიცხვა ნებისმიერი პოლიტიკური პარტიის საორგანიზაციო საქმიანობაა, სიები არის ღია და აღრიცხვის წარმოება ნებისმიერ აქტივისტს საკუთარი სურვილის მიხედვით შეუძლია

„ეს კეთდება საარჩევნო პროცესის მონიტორინგის მიზნით, რაც კანონმდებლობასთან სრულ შესაბამისობაშია“, - განაცხადა კახა კალაძის საარჩევნო შტაბის ხელმძღვანელმა.

ოზურგეთის მუნიციპალიტეტში სოფლების: ვაკიჯვარი-ფამფალეთი - მთისპირის დამაკავშირებელი საავტომობილო გზის რეაბილიტაცია სრულდება



ოზურგეთის მუნიციპალიტეტში სოფლების: ვაკიჯვარი-ფამფალეთი - მთისპირის დამაკავშირებელი საავტომობილო გზის რეაბილიტაცია სრულდება. მიმდინარეობს გზის მოხაზვა.

მიმდინარე სამუშაოები ოზურგეთის მუნიციპალიტეტის გამგებლის მოვალეობის შემსრულებელმა **არჩილ ყაზაიშვილმა,** გამგებლის მოადგილემ - **ბადრი გობრონიძემ** და ინფრასტრუქტურისა და არქიტექტურის სამსახურის უფროსმა **გოჩა აბაშმაძემ** დაათვალიერეს.

4 კმ და 865 მ. სიგრძის შიდა სასოფლო გზის რეაბილიტაცია გასულ წელს დაიწყო. პროექტი 3-ეტაპიანია. მიმდინარეობს სამუშაოების მე-2 ეტაპი.

სამშენებლო სამუშაოები ფინანსდება საქართველოს რეგიონებში განსახორციელებელი პროექტების ფონდიდან.

სამუშაოებზე ჯამში 2 მილიონამდე ლარი დაიხარჯება.

ვაკიჯვარი-ფამფალეთი - მთისპირის დამაკავშირებელი გზის სრული რეაბილიტაცია მომავალ წელს დასრულდება.

სამუშაოებს სამშენებლო კომპანია შპს „გზები და კეთილმოწყობა“ ახორციელებს.

სამუშაო შეხვედრა პროექტ „გააცოცხლე გურიას“ ფარგლებში

გურიის რეგიონში კულტურული ტურიზმის განვითარების ხელშეწყობის მიზნით, გუბერნატორის ადმინისტრაციის მხარდაჭერითა და საკონსულტაციოკომპანია **„ბრენდორ ქონსალთინგის“** ორგანიზებით, პროექტ „გააცოცხლე გურიას“ ფარგლებში სამუშაო შეხვედრა გაიმართა.

„კულტურული ტურიზმის“ თემაზე საინფორმაციო შეხვედრა, გუბერნატორის მოადგილესთან **გია ებრალიძესთან** და კულტურის სფეროს წარმომადგენლებთან, გერმანიის, ქალაქ რემშაიდის მუსიკალური და ხელოვნების სკოლის ხელოვნების დეპარტამენტის უფროსმა **თეონა გოგიჩაიშვილმა** გამართა.

როგორც შეხვედრაზე გოგიჩაიშვილმა აღნიშნა, მისი გურიაში ვიზიტის მიზანი არის იმ ტურისტული პოტენციალის შესწავლა, რომელიც აისახება კულტურული ტურიზმის სამოქმედო გეგმაში. აღსანიშნავია, რომ კულტურული ტურიზმის პოპულარიზაცია, ხელს შეუწყობს გურიის რეგიონის ტურისტული პოტენციალის ამაღლებას.

„გააცოცხლე გურიას“ ფარგლებში რეგიონს უკვე სტუმრობდა ინგოლშტადტის (გერმანია) უნივერსიტეტის ტურიზმის ფაკულტეტიდან 25 ეკონომ-გეოგრაფი მაგისტრატურის სტუდენტი. სტუდენტებმა სადიპლომო ნაშრომის ფარგლებში, რეგიონის ოთხივე მუნიციპალიტეტში, ტურისტული ადგილების პოტენციალის პირველადი კვლევა განახორციელეს.

„ღია მმართველობა საქართველო“ მუნიციპალიტეტების წარმომადგენლებს უმასპინძლა

11 ოქტომბერს „ღია მმართველობა – საქართველოს“ (**Open Government Georgia**) სამდივნომ თბილისის, ბათუმის, ქუთაისის, ოზურგეთისა და ზუგდიდის მუნიციპალიტეტების წარმომადგენლებს უმასპინძლა. შეხვედრა „**USAID**“-ის კარგი მმართველობის პროექტის (**Good Governance Initiative - GGI**) მხარდაჭერით გაიმართა.

მუნიციპალიტეტები „ღია მმართველობის პარტნიორობის“ სამოქმედო გეგმაში წელს პირველად ჩაერთვნენ და კონკრეტული ვალდებულებებიც აიღეს, რომლებიც 2 გამოწვევას საჯარო სექტორში კეთილსინდისიერების ამაღლებასა და საჯარო რესურსების უკეთეს მართვას პასუხობს.

სამდივნომ სტუმრებს დეტალური ინფორმაცია მიაწოდა „ღია მმართველობის პარტნიორობის“ (**Open Government Partnership - OGP**) და მისი მნიშვნელობის შესახებ როგორც გლობალურ, ისე ეროვნულ დონეზე. სამდივნოს წარმომადგენლებმა, ასევე, ისაუბრეს საქართველოს, როგორც „**OGP**“-ის თავმჯდომარე ქვეყნის, პრიორიტეტული მიმართულებებისა და სამომავლო გეგმების შესახებ.

სტუმრებმა დეტალური მოხსენებები წარმოადგინეს „**OGP**“-ის 2016-2017 წლების სამოქმედო გეგმის ფარგლებში მათ მიერ აღებული ვალდებულებების შესრულების პროგრესის შესახებ.

„ღია მმართველობის პარტნიორობის“ სამოქმედო გეგმაში 5 მუნიციპალიტეტი მონაწილეობს. მათ კონკრეტულ ვალდებულებები აიღეს. კერძოდ, ქალაქ ზუგდიდის საკრებულოს ვებგვერდზე პეტიციების ელექტრონული პორტალი და „ზუგდიდი-**INFO**“ დაინერგება; ოზურგეთის საკრებულო სხდომების გამჭვირვალობას უზრუნველყოფს; ქალაქ ქუთაისის, ქალაქ ბათუმის, ქალაქ ახალციხისა და ოზურგეთის მუნიციპალიტეტები კი, ბიუჯეტებს ელექტრონულად დაგეგმავენ.

შეზღუდვები ელექტროენერგიის მიწოდებაში

ქსელის სარეაბილიტაციო სამუშაოების გამო, დღეს, 30 ოქტომბერს, 11 დან 17 საათამდე ელექტროენერგიის მიწოდება შეეზღუდება 1450 აბონენტს ოზურგეთის მუნიციპალიტეტის სოფლებში **ნატანებსა და დვაბზუში, დაბა ლაითურში**, ასევე **დაბა ურეკის** ნაწილსა და მიმდებარე სოფლებში

როგორ გამოიყენებენ სემინარზე მიღებულ თეორიულ ცოდნასა და პრაქტიკულ გამოცდილებას გურიაში მოღვაწე ფერმერები აზიური ფაროსანას წინააღმდეგ ბრძოლაში

ბლობის პერიოდში გავრცელდა ამერიკის შეერთებულ შტატებში. ასე რომ, ხუმრობით, აბრეშუმის გზის მსგავსად, აზიური ფაროსანას გზაც ჩინეთიდან იწყება.

როგორც სემინარზე ითქვა, აშშ-ის საერთაშორისო განვითარების (**USAID**) საქართველოს სასოფლო-სამეურნეო წარმოების ეფექტიანობის აღდგენის პროექტის (**REAP**) მხარდაჭერით, საქართველოში აზიური ფაროსანას წინააღმდეგ წამლობის ღონისძიებები მსოფლიოს წამყვანი ენტომოლოგების რეკომენდაციებით და უშუალო ჩართულობით, ბიფენტგრინის ჯგუფის პრეპარატებით ხორციელდება.

აზიური ფაროსანას წინააღმდეგ ბრძოლის ღონისძიებებში ჩართული იყო ავიაცია და 30-ზე მეტი ერთეული სამანქანე და სატრაქტორე აგრეგატი.

აზიური ფაროსანას წინააღმდეგ სახელმწიფო აქტიურ საინფორმაციო კამპანიას ახორციელებს, ფუნქციონირებს ცხელი ხაზი.

საინფორმაციო კამპანიის ფარგლებში ფერმერებს აზიური ფაროსანას წინააღმდეგ ბრძოლის მეთოდებისა და ვადების შესახებ ოპერატიული და ამომწურავი ინფორმაცია რეგულარულად მიეწოდებათ.

რეგიონებში, სადაც გავრცელებულია აზიური ფაროსანა, სახელმწიფომ ფერმერებს უსასყიდლოდ გადასცა და გადასცემს მავნებლის საწინააღმდეგო პრეპარატს.

სურსათის ეროვნულ სააგენტოში მეთხილეობის დარგისა და მეფუტკრე სპეციალისტებს დასავლეთ საქართველოში გამოვლენილი ახალი მავნებლის საწინააღმდეგო ღონისძიებები გააცნეს. საქართველოში სპეციალურად მოწვეულმა პენსილვანიის სახელმწიფო უნივერსიტეტის ექსტენსიური მეხილეობის ენტომოლოგმა **გრეგორას კრავჩიკმა** ფერმერებს მავნებელთან ბრძოლის თეორიული და პრაქტიკური გამოცდილება გაუზიარა. ყურადღება გამახვილდა პრეპარატების გამოყენებისას ვადების და უსაფრთხოების წესების დაცვაზე.

აზიური ფაროსანას საწინააღმდეგო ღონისძიებები მასობრივი შეწამვლითი სამუშაოების ჩატარებას ითვალისწინებს, რაც სათანადო ცოდნას და პრეპარატების გამოყენების წესების ზედმიწევნით დაცვას საჭიროებს. ამ მიზნით სურსათის ეროვნული სააგენტო აქტიურ საინფორმაციო კამპანიას ატარებს, რომლის ერთ-ერთი პრიორიტეტული მიმართულებაც ფერმერთა ინფორმირებულობის გაზრდაა.

როგორც სემინარზე ითქვა, თხილის მოსავლის განადგურებაში არანაკლები წვლილი მიუძღვის სოკოვან დაავადებებს, ამიტომ აუცილებელია კომპლექსური ღონისძიებების გატარება.

აზიური ფაროსანა რთულად დასამარცხებელი მავნებელია. მის წინააღმდეგ მხოლოდ სახელმწიფოს მხრიდან ძალისხმევა არ იქნება საკმარისი. მავნებელთან წინააღმდეგ ბრძოლაში ყველა მოქალაქე უნდა ჩაერთოს როგორც ახლა, შემოდგომასა და ზამთრის პერიოდში (მექანიკური მეთოდი), ისე გაზაფხულსა და ზაფხულში. მხოლოდ ასე შევძლებთ ამ მეტად საშიში მავნებლის ლოკალიზებას.

სემინარის მონაწილეებს დაურიგდათ ბუკლეტები და სოფლის მეურნეობის სამინისტროს ყოველთვიური გამოცემის „ჩვენი სოფელის“ სპეციალური ნომერი, რომელშიც ახახულია აზიურ ფაროსანასთან ბრძოლის უკვე გაწეული და მომავალში გასაწევი აუცილებელი ღონისძიებები.

დამატებითი ინფორმაციებისთვის აზიურ ფაროსანასთან წინააღმდეგ ბრძოლის ღონისძიებებზე შეგიძლიათ დარეკოთ სოფლის მეურნეობის სამინისტროს **ცხელ ხაზზე 1501,** ცხელი ხაზი ფუნქციონირებს ასევე **გურიაში – 16006**.

როგორ გამოიყენებენ სემინარზე მიღებულ თეორიულ ცოდნასა და პრაქტიკულ გამოცდილებას გურიაში მოღვაწე ფერმერები აზიური ფაროსანას წინააღმდეგ ბრძოლაში, ეს ნაწილობრივ გამოზამთრებისთავე გამოჩნდება.

საქართველო მსოფლიოში პირველ ადგილზეა ბანკის ვალის მქონე მოსახლეობის რაოდენობით

ქვეყნის მოსახლეობის 70%-ზე მეტს ბანკის ვალი აქვს

რაღაცაში ხომ უნდა ვიყოთ პირველები?! ჰოდა, გილოცავთ, გიხაროდენ! - ქართულმა კომერციულმა ბანკებმა იმდენი იჩალიჩეს, იმდენი იხიმანდრეს, რომ უკვე მსოფლიოში პირველ ადგილზე ვყოფილვართ ბანკის ვალის მქონე მოსახლეობის რაოდენობით. მსუბუქად რომ ვთქვათ, ასეთი საბანკო სისტემა ქვეყნის ეკონომიკური განვითარების ის მუხრუჭია, რომლის ხუნდების ახსნას ქვეყნის უშეცდომოდ მართვის შემთხვევაშიც კი ათეული წლები დასჭირდება.

ვერ ვიხსენებ ციფრების შიშს რა ჰქვია, მაგრამ ვისაც ციფრების შიში გაქვთ, გირჩევთ, ნუ წაიკითხავთ წინამდებარე წერილს. მაშ ასე: როგორც „კომერსანტი“ წერს, სექტემბერში, წინა თვესთან შედარებით, კომერციული ბანკების წმინდა მოგება 70,7 მილიონი ლარით გაიზარდა. წლევანდელ იანვარ-სექტემბერში კი ბანკების წმინდა მოგებამ 631 815 000 ლარი შეადგინა, რაც 147 538 000 ლარით მეტია წინა წლის შესაბამისი პერიოდის მაჩვენებელთან შედარებით, ანუ მოგება 30%-ით გაიზარდა.

იგივე „კომერსანტის“ ინფორმაციით, სექტემბერში კომერციული ბანკების შემოსავალი 3,1 მილიარდი ლარია, 374 მილიონი ლარით მეტი აგვისტოს და 766 მილიონი ლარით მეტი შარშანდელი ანალოგიური პერიოდის მაჩვენებლებზე.

რასაკვირველია, სტაბილურად იზრდება ბანკების პროცენტული შემოსავალი. წლეულს, სამი კვარტლის განმავლობაში ეს მაჩვენებელი 1 996 13 000 ლარს შეადგენს. შარშან იანვარ-სექტემბერში კომერციული ბანკების პროცენტული შემოსავალი 1,7 მილიარდი ლარი იყო.

რაც უნდა პარადოქსულად გეჩვენოთ, კომერციული ბანკები ყველაზე დიდ შემოსავალს ფიზიკურ პირებზე გაცემული სესხებიდან იღებენ - 1 148 560 000ლარი, იურიდიულ პირებზე გაცემული სესხებიდან მიღებული შემოსავალი თითქმის ორჯერ ნაკლებია და 625 699 000 ლარს შეადგენს. მაღალი შემოსავალი აქვთ ასევე ბანკებს არაპროცენტული შემოსავლებიდან, ამ მხრივ ბანკების სარგებელმა 2017 წლის იანვარ-სექტემბერში 1 156 656 000 ლარი შეადგინა.

„კომერსანტის“ მიერ გამოქვეყნებული ეროვნული ბანკის მონაცემებიდან ჩანს, რომ კომერციული ბანკების მოგების ზრდა უპირატესად დაკავშირებულია მოსახლეობიდან მიღებულ შემოსავლებზე. პროცენტულ შემოსავლებში ფიზიკური პირებიდან მიღებული წილი 57,5%-ს შეადგენს, მთლიან შემოსავლებში კი - 36,4%-ს.

როგორია, ჰა?!

ახლა გადავხედოთ კომერციული ბანკების მოგების გადასახადის სახით ბიუჯეტში შეტანილ თანხებს: სექტემბერში 5,8 მილიონი ლარი გადაიხადეს, იანვრიდან სექტემბრის ჩათვლით კი, კომერციული ბანკების მიერ გადახდილი მოგების გადასახადი 65,1 მილიონი ლარია.

შეფასება რომ დილეტანტური არ გამომივიდეს, ფინანსისტ **ირაკლი ბერძენაძის** კომენტარს გამოვიყენებ, რომელიც მან „კომერსანტთან“ საუბრისას გააკეთა:

„თუ გავითვალისწინებთ საქართველოს სოციალურ-ეკონომიკურ მდგომარეობას, ცალსახაა, რომ ეს არის ფიზიკური პირების და მცირე და საშუალო ბიზნეს-სექტორის ხარჯზე. ძალიან მნიშვნელოვანია ის ფაქტი, რომ ბანკები სოლიდურ შემოსავალს იღებენ არასაპროცენტო ოპერაციებიდან, როგორიცაა ჯარიმები, სხვადასხვა საკომისიოები, რაც უკვე მკვეთრად იძენს მზარდ ტენდენციურ ხასიათს. ეს ყველაფერი კი მიუთითებს იმ ფართოდ გავრცელებული აზრის სისწორეზე, რასაც ჰქვია „ღარიბ ქვეყნებში ბანკები უფრო მეტად მდიდრდებიან“. საქართველოში ბანკებს აქვთ ზემოგება, რაც ნებისმიერი განვითარებული ქვეყნისთვის არალოგიკურია.

აღნიშნულ მონაცემებზე საინტერესოა ეროვნული ბანკის პოზიცია. საინტერესოა, რამდენად ლოგიკურად მიაჩნიათ საქართველოს მსგავს სოციალურ-ეკონომიკური მდგომარეობის მქონე ქვეყანაში ბანკების ასეთი მოგება? ეს ფინანსური სტაბილურობის მაჩვენებელია მათთვის თუ მოსახლეობის სოციალური მდგომარეობის გაუარესების კიდევ ერთი ფაქტი? არც ერთ განვითარებულ ქვეყანაში არ აქვს ბანკებს მოგების ისეთი მაღალი მაჩვენებელი, როგორც საქართველოში. ყველაზე მნიშვნელოვანი ის არის, რომ მათზე არ მოქმედებს ეკონომიკაში არსებული მდგომარეობა, კრიზისის ფონზეც კი ისინი წარმატებით ახორციელებენ მოგების მარჟის ზრდას“.

ბერძენაძე აქვე ამბობს, რომ კომერციული ბანკებიდან სახელმწიფო დღეს ყველაზე ნაკლებ სარგებელს იღებს. წარმოგიდგენიათ?

„გამომდინარე იქედან, რომ ბანკები დღეს მიეკუთვნება ყველაზე მომგებიან სექტორს, სახელმწიფო მათგან *ყველაზე ნაკლებ სარგებელს იღებს, რადგან ისინი სარგებლობენ შეღავათიანი საგადასახადო რეჟიმით. შესაბამისად საქმე გვაქვს შემდეგთან: ბანკები, რომელთაც აქვთ მეტი შეღავათები, იღებენ მეტ მოგებას იმ დროს, როდესაც მათი წვლილი მცირე და საშუალო ბიზნესის განვითარებაში, რამაც უნდა მოახდინოს ეკონომიკური განვითარება, არის ძალიან მცირე. მეტი მოგება კი ნიშნავს ბანკების მხრიდან მეტ გავლენას სხვადასხვა სექტორზე, რაც თავისთავად ხელს უშლის სხვა სექტორის განვითარებას, განსაკუთრებით კაპიტალის ბაზრის განვითარებას, რომელიც ბანკების ალტერნატივა უნდა იყოს.“*

სამწუხაროდ, ასეთია ჩვენს ქვეყანაში დღეს მოქმედი საბანკო სისტემა რომელიც, არსენასგან განსხვავებით, ღარიბს ართმევს და მდიდარს აძლევს სარგებელს. ეროვნული ბანკი რომ ამ პრობლემის მომგვარებელი ვერ არის, ცხადია და ამის მტკიცებით აღარ გადაგღლით, რადგან ჩემზე უკეთ უწყით. ხელისუფლება? ხალხის არჩეული ხელისუფლება თუ აკონტროლებს გაუმაძღრობის სინდრომით შეპყრობილ, სტომაქამოუვლებელ კომერციულ ბანკებს, რომლებიც თავიანთი ქმედებით, პირადად მე მაგონებს ახალგაზრდა, ახალშემოსილ ტყეს შესეულ იმ თხებს, რომელთა გადანაჭამზე ნეკერი აღარასდროს ამოვა?!

„კომერსანტის“ მიხედვით
მოამზადა
თემურ მარშანიშვილმა.

15-16 ოქტომბრის ძლიერი წვიმებისა და ქარის შედეგად მოტანილმა ზარალმა თემთა მუნიციპალიტეტში 100 ათას ლარზე მეტი შეადგინა, ქალაქის მუნიციპალიტეტში კი დაზიანებული სახლების აღსადგენად საჭიროა დაახლოებით ერთ მილიონამდე ლარი

15-16 ოქტომბერი ოზურგეთისთვის უხვნალექიანი იყო. ორდღიანმა ძლიერმა წვიმამ წყალმოვარდნები და მეწყრული პროცესების გააქტიურება გამოიწვია. უამინდობამ ოზურგეთის ორივე მუნიციპალიტეტში შექმნა პრობლემები. დაზიანა საცხოვრებელი სახლების სახურავები, შიდა გზები. მოსახლეობამ დასახმარებლად ადგილობრივ ხელისუფლებას მიმართა. ზარალის დათვლა ჯერ კიდევ მიმდინარეობს.

ბადრი გობრონიძე, ოზურგეთის თემთა მუნიციპალიტეტის გამგებლის მოადგილე: *„დიდი მეწყერი იყო მშვიდობაურში, კონჭკათში სამ ადგილას, ქაქუთში, ჭანიეთსა და სილაურში. ძირითადი ზარალი მაინც შიდასასოფლო გზების ჩამორეცხვაა. გვაქვს შიდა სასოფლო გზების მოვლა-შენახვის გეგმა, რომლის მიხედვითაც ვმუშაობთ. ასევე დაზიანდა საცხოვრებელი სახლების სახურავები. ისეთების, რომლებიც წინა სტიქიების დროსაც არ იყო კარგ მდგომარეობაში. სახლების სახურავები ნაწილობრი გადახდილია და შეკეთებას ექვემდებარება, ნაწილი უკვე შევაკეთეთ. მაგალითად, ურეკში ორი სახლის სახურავი უკვე რეაბილიტირებულია . დანარჩენს ეტაპობრივად მივხედავთ. ზოგს სამშენებლო მასალას ვაძლევთ, ზოგს ჩვენ თვითონ ვუკეთებთ. ამ მხრივ მოსახლეობასთან პრობლემები არ გვაქვს. არც საყვედურები და საჩივრებია. მოსახლე მიდის გამგებლის წარმომადგენელთან საკუთარ სოფელში, იქიდან განცხადება ელექტრონულად მოდის ჩვენთან. შემდეგ განიხილავს და რეაგირებას ახდენს ინფრასტრუქტურის სამსახური. ვცდილობთ, მოსახლეობა უკმაყოფილო არ გვყავდეს.“*

— ფულად გამოსახულებაში როგორ გამოიყურება მოყენებული ზარალი?

- ზარალი არის, მაგრამ არც ისე დიდი . დაახლოებით, რომ გითხრათ, 100 000 ლარს გადააცილებს ცოტათი.

რაც შეეხება ქალაქ ოზურგეთს: ყველაზე მეტად დაზარალდა გრიშაშვილის, თავისუფლების, აღმაშენებლის, მეგრელაძის და ბათუმის ქუჩები. როგორც ქალაქ ოზურგეთის მუნიციპალიტეტის მერიის ეკონომიკური განვითარების, ქონების მართვის, ინფრასტრუქტურის, ტრანსპორტისა და კეთილმოწყობის სამსახურის უფროსი **მერაბ წივწივაძე** ამბობს, ქუჩების დატბორვის მიზეზი გაუმართავი სანიაღვრე არხები არ ყოფილა: *„მოხდა წყალმოვარდნა. არხებმა კარგად იმუშავა, მაგრამ იმდენად უხვი ნალექი იყო მდინარეების, ბეუჟის და ნატანების დონემ აიწია და არხიდან ჩადინებული წყალი არ მიიღო.“*

უამინდობამ ქალაქის ტერიტორიაზე დაახლოებით 150 სახლი დააზიანა:

„მოსახლეობამ უმეტესად ძლიერი წვიმის და ქარისგან დაზიანებული სახურავების გამო მოგვმართა. თითქმის ყველა საცხოვრებელი სახლი აღწერილია. 150-მდე განცხადებაა შემოსული და პროცესი გრძელდება. თუ მოვახერხეთ ყველას აღდგენა, დაახლოებით მილიონი ლარი იქნება საჭირო ამისთვის. ველოდებით სამინისტროს გადაწყვეტილებას საჭირო თანხასთან დაკავშირებით. ამის მერე მოხდება სახურავების შეკეთება და არხების გაკეთებააღდგენა,“ — გვითხრა წივწივაძემ.

ავტომობილების ტექდათვალიერება 2018 წლის 1 იანვარს დაიწყება და 60 ლარის ფარგლებში ეღირება – ავტომობილი 7 კრიტერიუმს უნდა აკმაყოფილებდეს

ავტომობილების ტექდათვალიერება დაახლოებით, 60 ლარის ფარგლებში ეღირება.

ამის შესახებ „ინტერპრესნიუსს“ ეკონომიკისა და მდგრადი განვითარების სამინინისტროს სსიპ „სახმელეთო ტრანსპორტის სააგენტოს“ დირექტორმა **მიხეილ ხმალაძემ** განუცხადა.

როგორც მიხეილ ხმალაძემ აღნიშნა, ყველა ვარიანტში მთავრობა ზედა ზღვარს დააწესებს, ანუ ფასი იქნება რეგულირებული, რათა შემდეგ ბაზარზე ხელოვნურად არ მოხდეს ფასის გაზრდა და მოსახლეობისთვის ამ სერვისის ტვირთად დაწოლა.

გარდა ამისა, მისი თქმით, ავტოსატრანსპორტო საშუალებების მიერ ტექდათვალიერების არგავლის შემთხვევაში, ჯარიმის ოდენობა მნიშვნელოვნად გაიზრდება, თუმცა ხმალაძემ კონკრეტული ციფრი ამ ეტაპზე ვერ დაასახელა, რადგან, მისივე თქმით, შესაბამისი ცვლილება პარლამენტმა უნდა განახორციელოს.

თუ ავტომობილი ვერ გაივლის სავალდებულო ტექნიკურ ინსპექტირებას, მძღოლს ხარვეზების აღმოსაფხვრელად დაახლოებით,ერთი თვე მიეცემა, თუმცა კონკრეტული გრაფიკი ოქტომბრის ბოლოს გამოქვეყნდება.

თუ მანქანა ერთხელ გაივლის ტექდათვალიერებას და არის მარჯვენასაჭიანი, მას უკვე ეკრძალება საჭის გადატანა. როდესაც ასეთი მანქანა მეორედ მივა ტესტირებაზე და მას მარცხენა მხარეს ექნება საჭე გადატანილი, სავალდებულო ტესტირებას ვეღარ გაივლის.

რაც შეეხება უკვე საჭეგადატანილ მანქანებს, რომელთა რაოდენობა, მიხეილ ხმალაძის განცხადებით, საკმაოდ დიდია, „თუკი საჭის მექანიზმი წესრიგშია“ ისინი სავალდებულო ტექნიკურ შემოწმებას ჩვეულებრივად გაივლიან.

— ეს მანქანები სხვა პარამეტრებზე ტესტირებას ჩვეულებრივად გაივლიან, მაგრამ რაც შეეხება საჭის მექანიზმს, ჩვენ შევამოწმებთ და თუ ძალიან ცუდი მდგომარეობა არ არის, მაშინ სავალდებულო ტექნიკურ ინსპექტირებას ჩვეულებრივად გავატარებთ. თუ რაიმე პრობლემა იქნება, ამ შემთხვევაში დროს მივცემთ, რომ გამოასწორონ მინიმალურად მაინც, — განაცხადა ხმალაძემ.

ავტომობილების ტექდათვალიერების დროს 7 ყველაზე მნიშვნელოვანი კრიტერიუმი იმოქმედებს, რომელიც ყველას მოეთხოვება.

— თავიდან დავიწყებთ იმით, რაც ძალიან მნიშვნელოვანია. ეს არის — **მუხრუჭები, საჭის მექანიზმი, სავალი ნაწილი, ხილვადობა, მაშუქები ანუ ფარები, გამონაბოლქვი და საბურავები.** ჩამოთვლილი ყველაზე მნიშვნელოვანი კრიტერიუმებია, რაც ყველას მოეთხოვება, აქ ვერანაირ შეღავათს ვერ გავაკეთებთ, — განაცხადა ხმალაძემ.

როგორც მიხეილ ხმალაძემ განმარტა, ავტომობილების პერიოდული ტექნიკური ინსპექტირების დაწყებიდან ანუ 2018 წლის პირველი იანვრიდან 2 წლის განმავლობაში საქართველოში არსებული მთელი ავტოპარკის შემოწმება მოხდება.

— პირველ ეტაპზე არის ორწლიანი ციკლი, რათა მთლიანად მთელი ავტოპარკი მოვიცვათ. შესაბამისად, როდესაც ჩვენ დავიწყებთ პირველ ტესტირებას 2018 წლიდან, ეს იქნება ორწლიანი, მაგრამ შემდეგ უკვე გადავდივართ ევროპულ სტანდარტზე, რაც არის 4+2+1. ეს იმას ნიშნავს, რომ ახალი მანქანა 4 წლამდე არ გადის სავალდებულო ტესტირებას, შემდეგ 4-დან 6 წლამდე მანქანა 2 წელიწადში ერთხელ გადის, ხოლო 6 წლის შემდეგ აბსოლუტურად ყველა ავტომობილი სავალდებულო ტესტირებას წელიწადში ერთხელ გაივლი, — განაცხადა ხმალაძემ.

რაც შეეხება პერიოდული ტექნიკური ინსპექტირების ცენტრებს, მიხეილ ხმალაძის განცხადებით, ამ ეტაპზე საქართველოს მასშტაბით გვაქვს 26 ტესტირების ცენტრი, რომელთაც აქვთ 35 ტესტირების ხაზი, რაც იმას ნიშნავს, რომ შეიძლება იყოს ერთი ტესტირების ცენტრი, მაგრამ ჰქონდეს რამდენიმე ხაზი. ერთ ხაზზე კი ერთი მანქანა იტესტება.

მისივე თქმით, შვეიცარულმა კომპანია შ შ-მა, რომელიც ეკონომიკისა და მდგრადი განვითარების სამინისტროს სატრანსპორტო საშუალებების პერიოდული ტექნიკური ინსპექტირების პროგრამის განხორციელებისთვის კონსულტაციას უწევს, ტესტირების ცენტრებისთვის შესაბამისი მოთხოვნები უკვე გამოაქვეყნა.

— ახალი მოთხოვნებით, პრაქტიკულად, ვერც ერთი მათგანი ვერ აკმაყოფილებს ამ სტანდარტებს, მაგრამ ეს არ ნიშნავს, რომ ამის გამოსწორება არ შეიძლება. ზოგიერთ მათგანს მხოლოდ მცირე რაღაცის გაკეთება მოუწევთ იმისთვის, რომ კრიტერიუმები დააკმაყოფილონ, ზოგს — ამ მხრივ ცოტა მეტი სამუშაო ექნება ჩასატარებელი, მაგრამ პრინციპში, ის მოთხოვნები, რაც შვეიცარიულ კომპანია შ შ-ს აქვს, შესრულებადია. იმედი გაქვს, რომ ყველა დააკმაყოფილებს და ასევე ველოდებით ახალი კომპანიების შემოსვლას, — განაცხადა მიხეილ ხმალაძემ

akhalitaoba.ge

მწერალთა სახლში დავით შემოქმედელის მონო-სპექტაკლი გაიმართა

ქ. თბილისში, მწერალთა სახლში, არაერთი ლიტერატურული პრემიის ლაურეატის, საქართველოს რუსთაველის საზოგადოების პრეზიდენტის, პოეტ **დავით შემოქმედელის** მონო-სპექტაკლი გაიმართა.

დავით შემოქმედელის ცნობილი პოემის "ჩემს სამშობლოში –მე ემიგრანტი" მიხედვით შექმნილი მონო-სპექტაკლი რეზო თაბუკაშვილის სახელობის თეატრის მსახიობმა **იზა ვეფხვაძემ** საუცხოოდ წარმოადგინა.

სპექტაკლმა დიდი მოწონება პოვა დამსწრე საზოგადოებაში. ქართველი, ებრაელი, სომეხი კულტურისა და ხელოვნების ცნობილი მოღვაწეები, ქართულ–ებრაული საზოგადოების წარმომადგენლები თავიანთ სიტყვებში აღნიშნავდნენ მე–20 და 21–ე საუკუნეების მიჯნაზე შექმნილ პოეტურ რექვიემს, საყოველთაო ტკივილსა და ემოციას, სადაც დგას კითხვა – "ჩემს სამშობლოში –მე ემიგრანტი?."

მისი ერთ-ერთი საუკეთესო ლექსის მიხედვით სტუდია" შავიტმა" დაამზადა ბარელიეფი, რომელიც საჩუქრად გადასცა მას ცნობილმა ებრაელმა მოღვაწემ მაკს მეირ შავიტმა. ბარელიეფზე გამოსახულია ქართველი ვაჟკაცი, რომელიც ხმალს ჭედავს –

"ნუ ჩააგებთ ხმალს. ქართველებო!"

–სიმართლე უნდა ითქვას - მოულოდნელი და გამაოგნებელი დავით შემოქმედელი აღმოვაჩინე და ვფიქრობ, არა მარტომე.

მართლაც, რომ სიტყვის დიდოსტატმა ქალბატონმა იზა ვეფხვაძემ დავით შემოქმედელის პოეზიას განუმეორებელი განსაკუთრებული ხმა და ელფერი შემატა

არ მეგულება ადამიანი, ვინც ეს უკეთ მოახერხოს! მადლობა მას ! –წერს სოციალურ ქსელში მაკს მეირ შავიტი.

წინა ნომრებში ხშირად ვბეჭდავდით ცნობილი ჟურნალისტისა და მთარგმნელის ვაჟა ჭანუყვაძის მოგონებებს და პუბლიცისტურ წერილებს სხვადასხვა აქტუალურ თემებზე. ამჯერად გთავაზობთ მის მიერ ნათარგმნ რამდენიმე პოეტურ შედევრს გერმანული პოეზიიდან.

გერმანული პოეზიის შედევრები

ბერტოლდ ბრეხტი

სიმღერა ომის შემდგომ

იფრინე ფრანო, იფრინე!
ომი არ არის ცაზე,
მიგაფრენს გრძელი ზონარი,
მოსკოვ-პეკინის გზაზე.
იფრინე ფრანო, იფრინე!

მაშ დატრიალდი, ბზრიალავ,
კვლავ აწრიალებ ქუჩებს,
მამა ახალ სახლს აშენებს,
დედა ლამაზ ქვებს ურჩევს.
მაშ დატრიალდი ბზრიალავ!

ი. ბეხერი

ბიჭი

იგი სკოლაშიც მარტოკა იყო,
მასწავლებელიც მას სცემდა მუდამ,
მშობლებმა უთხრეს: „შენი გულისთვის
უბედურება შეგვემთხვეს უნდა"...

წამოიყვანეს, სახლში ჩაჰკეტეს,
ცემით უჭრელეს საწყალს გვერდები,
უთხრეს: გასწავლით ხელის გაშვერას,
„ჰაილის" ყვირილს თავგამეტებით...

ბიჭს კი არც ხელი გაუშვერია,
არც უყვირია „ჰაილ" რიხით,
როცა მოვიდნენ მის წასაყვანად,
წყლის დიდ ტალღებში ჩაეშვა იგი,
და ჩაიძირა, რადგან არ სურდა
სხვებს ჰგვანებოდა ოდნავად თუნდაც...

გოეთე

ზღვის დუმილი

ზღვაზე დამდგარა მკვდრული სიჩუმე,
წყალი არ იძვრის მშვიდად მთვლემარე,
დაღონებული გასცქერის სივრცეს
და საჭეს მართავს დინჯი მენავე.

ნიავი არ ჰქრის არცერთი მხრიდან,
დუმილი მეფობს საზარი, მკვდრული.
და არსად, არსად მთელ ზედაპირზე
არ იძვრის ტალღა ქაფმორეული.

ფ. შილერი

ამალია

ტურფა იყო, ანგელოზი სრული,
სილამაზით აჭარბებდა ყველას,
მზერა ჰქონდა მომხიბვლელი სულის,
მაისის მზით გაჟღენთილი მზერა.

მისი კოცნა მომცემელი შვების,
გულს ანთებდა კელაპტარის დარად,
და ვით არფის საამური ხმები
ჩვენც ზეცისკენ მივფრინავდით მარად.

სულს ადნობდა სიახლოვე მისი,
ღაწვს და ბაგეს სწვავდა ალისფერი.
ტრფობა ჩვენი იყო მარადისი,
ტრფობა მარად სიხარულის მფენი.

ის აღარ მყავს, გადავიქეც დარდად,
დამეკარგა ანგელოზის დარი.
ვწუხვარ, ვოხრავ რატომ შემიყვარდა,
თუ გული დამრჩებოდა მკვდარი.

ფ. შილერი

გამოთხოვება ჰექტორისა

ანდრომაქე

ჰექტორ, რად გიწევს ბრძოლისკენ გული,
სად აქილევსი განრისხებული
ტროელთ სისხლსა ღვრის პატროკლესათვის?..
რომ არ დაგინდოს ორკმა უწყალომ,
ვინღა ასწავლის ჩვენს ძეს საბრალოს,
შუბის ტყორცნას და ღმერთების პატივს?

ჰექტორი

ჩემო ძვირფასო, ნუ ჰგოდებ ასე,
მაქვს გული, ბრძოლის წყურვილით სავსე,
პერგამს დაიცავს ჰექტორი შენი.
მოვევლინები სამშობლოს მხსნელად,
და მებრძოლი თუ დაეცი ველად,
სტიქსის ტალღები განგბანენ ლხენით.

ანდრომაქე

ვეღარ მოვისმენ კვლავ აბჯრის ჟღრიალს,
ჟანგი ჯამოხრავს შენს მახვილს ფხიანს,
განადგურდება პრიამეს გვარი.
წახვალ მოცული ბურუსით ხშირით,
სადაც კოტიცი საზარლად სტირის,
და ტრფობას ლეთე მოგტაცებს წყნარი.

ჰექტორი

მთელ ჩემს იმედებს, ოცნებას, ლხენას,
ლეთეს წყნარ ტალღებს გავატან ყველას,
მაგრამ სიყვარულს ჩემსას კი არა,
მომეც მახვილი!
ჰექტორი არ დასთმობს სიყვარულს, არა!..

ჰაინრიჰ ჰაინე

X X X

ეტლი მიჰქროდა შეუსვენებლივ,
მარტონი ერთად ვისხედით ბნელში.
სიცილით მკერდზე ვეკვროდით ერთურთს,
მე შენი ხელი მესვენა ხელში.

მხოლოდ როდესაც გათენდა კარგად,
ო, ჩემო ბავშვო, გავოცდით რარიგ:
ჩვენს შორის იჯდა ამური მწველი,
მწველი ამური, ბრმა თანამგზავრი...

ჰაინრიჰ ჰაინე

მზის ჩასვლა

მზე, ალეწილი ცეცხლის ალმურით,
ეშვება დუნედ შორს გადაჭიმულ
მთრთოლვარე ზღვაში;
ცის ხატებანი, ვარდისფრად შეფაკლებულნი
სრბიან კვალდაკვალ; და აღმოსავლით
შემოდგომის მუქ ღრუბლებიდან
გამოდის მთვარე
სახემწუხარი და მიმქრალი ვით მომაკვდავი.
ხოლო მის იქით მოციმციმე და მოკიაფე
თალხი ბურანით დაჯარულნი კრთიან ვარსკვლავნი.
ოდესღაც ცაზე ბრწყინავდნენ
ჯვარწერილნი;
ლუნა ღმერთქალი და სოლ ღმერთი
ყოველ მნათობთა.
ხოლო მათ ირგვლივ ზიმზიმებდნენ
წვრილი ვარსკვლავნი,
იმათი შვილნი გულურყვილო და უმანკონი.
მაგრამ ენებმა ბოროტულად ამქსინვერბულმა
ჩააგდეს შუღლი, გადაკიდეს ერთურთს
ცოლ-ქმარი
და დააცილეს მოყვარულნი სამარადჟამოდ.

ახლა კი ნათლით, ცალად შთენილ
სიდიადითა
დადის მარტოკა მზეუფალი სახელოვანი,
ქებაშესხმული იმ თავისი ბრწყინვალებისთვის,
სვებედნიერ და მეტად ამყ ადამთ
თესლთაგან.

ხოლო ღამ-ღამე
ცაზე მთვარე დაბორიალობს
საბრალო დედა დაობლებულ ბავშვებთან ერთად,
ბრწყინავს, ელვარებს ჩუმ ნაღველში
გამოხვეული
და პოეტები, გოგონები შეყვარებულნი,
უძღვნიან ლექსებს და სიმღერებს
მეტად მწუხარეს.

ნაზი მთოვარე! ქალურ ჭკუით დაჯილდოებულს
ჯერაც გულში აქვს ლამაზი ქმრის მწველი
ტრფიალი.
საღამოს პირზე ანათრთოლი
მიცურავს ნელა
ღრუბლიდან გამომზირალი,
და აცქერდება მზეს ჩამავალს
გულისტკივილით.
უნდა მეუღლეს შიშნარევი ხმით მიაძახოს:
„მოდი ბავშვები ნაცრულობენ დაობლებულნი".
მაგრამ ამაყი მზეშეუვალი ცოლის ნახვისას,
ინთება უფრო რისხვისა და ტკივილისაგან
და იბურება უარესად ორმაგი ძოწით.
მერე უსიტყვოდ ეშურება დასავლისკენ
და იძირება თავის ქვრივულ ცივ სარეცელში.

X X X

ამგვარად ენამ, ბოროტულად ამქსინვრებულმა
თვით მუდმივ ღმერთებს არგუნა წილად
გულსატკივარი და მწარე ხვედრი.
საბრალო ღმერთნი ზესამყოფელში
ეხეტებიან უიმედოდ ტანჯვიან გზებზე.
არ ძალუძთ კვდომა და მიათრევენ
აელვარებულ უბედურებას.
მე კი, მე, შვილი ადამისა,
ვარ ბედნიერი ვიყო მოკვდავი
და აღარ ვჩივი ამის მეტად

ჰაინრიჰ ჰაინე

X X X

მიყვარს ყვავილი, თუმცა არ ვიცი
მიყვარს რომელი.
ჩავყურებ ვარდებს კოკორებში
სიმწრის მთოველი.

ღამის ბინდბუნდში ღვივის ყვავილი
და სტვენს ბულბული.
მეც მსურს ვიპოვო გული ჩემებრ
აძგერებული.

ბულბული სტვენს და მე ვგებულობ
უტკბეს გალობას.
ღმერთმა ორთავე ტკივილებით
დაგვაწყალობა.

ჰაინრიჰ ჰაინე

X X X

მაკოცე მხოლოდ, ფიცი კი კმარა,
მე ქალის ფიცი არა მწამს, არა.
სიტყვა ტკბილი გაქვს, იმედის მფენი,
მაგრამ უტკბესი კოცნაა შენი.
კოცნას ვიგემებ, სიტყვას კი ვერა
და ამიტომაც ფიცის არ მჯერა.

ოზურგეთელ მძლეოსანთა მორიგი წარმატებები

8-10 ოქტომბერს ქ. ახალციხემ ახალციხის ღია საერთაშორისო ჩემპიონატს უმასპინძლა მძლეოსნობაში, მასში, საქართველოს ნაკრებ გუნდებთან ერთად, სომხეთისა და აზერბაიჯანის ნაკრები გუნდებიც მონაწილეობდნენ. აღსანიშნავია ქ. ოზურგეთის მუნიციპალიტეტის გაერთიანებული სპორტის განვითარების ცენტრის ნაკრები გუნდის წარმატებები.

100 მ რბენაში **ამირან თავართქილაძემ** პირველობა არავის დაუთმო, შედეგით 11,04 პირველი საპრიზო ადგილი დაიკავა. ასევე წარმატებით იასპარეზა **გიორგი დეკანოიძემ**, რომელიც წინასწარ გარბენებში მეორე იყო შედეგით 11,07, ხოლო ფინალში მეოთხე ადგილს დასჯერდა შედეგით 11,08. პირველი საპრიზო ადგილის მფლობელი გახდა **მიხეილ მახარაძე** ადგილიდან სიგრძეზე ხტომაში შედეგით 2მ 47 სმ, მეორე იყო **ლაშა ტულუში,** შედეგი 2 მ 36 სმ, ხოლო მეოთხე ადგილზე გავიდა 2მ 29 სმ **რევაზ გოგიტიძე,** 600 მ დისტანციაზე მეორე საპრიზო ადგილის მფლობელი გახდა **მიხეილ მახარაძე.** ბირთვის კვრაში მესამე საპრიზო ადგილი დაიკავა **მარი კანთელაძემ** შედეგით 3კგ ბირთვი 8მ 90სმ.

სპორტსმენები ახალციხის მუნიციპალიტეტის წარმომადგენლებმა სიგელებით, შესაბამისი ხარისხის მედლებითა და ფასიანი საჩუქრებით დააჯილდოვა.

გუნდი მოამზადა მწვრთნელმა **მარინე კოტრიკაძემ,** ხოლო დააფინანსა ქ. ოზურგეთის მუნიციპალიტეტის გაერთიანებული სპორტის განვითარების ცენტრის გენერალურმა დირექტორმა **გოჩა კვანტალიანმა.**

ოზურგეთელი მოკრივეების ტრიუმფი მესტიაში

12-15 ოქტომბერს ქ. მესტიაში ჩატარდა ალიოშა ჯაფარიძის ხსოვნისადმი მიძღვნილი ტურნირი კრივში, რომელშიც მონაწილეობდნენ თბილისის, ფოთის, ჩხოროწყუს, ოზურგეთის და მესტიის მოკრივეები.

ქ. ოზურგეთის მუნიციპალიტეტის გაერთიანებული სპორტის განვითარების ცენტრის ნაკრები გუნდიდან ტურნირში 3 სპორტსმენმა მიიღო მონაწილეობა. 40 კგ წონით კატეგორიაში I ადგილზე გავიდა 2003 წელს დაბადებული **ოთარ აბესაძე,** ასევე I ადგილი დაიკავა 48კგ წონით კატეგორიაში 2002 წელს დაბადებულმა **რომა აბესაძემ,** ხოლო 34 კგ წონით კატეგორიაში III საპრიზო ადგილის მფლობელი გახდა **გივი გობრონიძე.**

გუნდი შეჯიბრებისათვის მოამზადა მწვრთნელმა **იულო საჯაიამ.**

სკანვორდი

					რიცხვი					იდეა			ქალაქი რაჭაში
												წყნარი მდინარე	
					ელექტრო ტრანს-პორტი			ებრაული სახელი	უნდობლო-ბის წინაპირობა	ღამის ფრინველი	პაგარა კაცი		
								ძვირფასბეწ-ვიანი ცხოველი	სუბ-ტროპიკული მცენარე			ნარდში მოგებული პლანეტა	
										ჩიტი			ბულბულის საყვარელი ყვავილი
					ღვთის სახლი	პირდაპირი ეთერი					რუსული ავტომო-ბილი		ცხენის ჯოგი
								მხსნელი			ზღვაში ჩაედინება		
					ბუსუსები ქსოვილზე			მდინარე მორეულ აღმოსავლეთში				ელექტრო ხელსაწყო	
			ყველაზე სექსუალური ანსამბლი					სულელი გურულად					გაზაფხ-ულის ყვავ-ილი	გამჭირვალე ცა
				გაზი	ხმის გამოძახილი	ათი მანეთი						ერთგვარი კანფეტი	ზიზიფუსი ანუ	კავშირი
	რუსი კლასიკოსი					თორნიკე მოფერებით				ფინური აბანო					ლოგინის ატრიბუტი
						საგანგებო დავალება								
სამხედრო წოდება	რეალური						აღმოსავლური ორთაბრძოლა		უბანი ლიხაურში	დიახ	მაღალი გორი				ანბანის მე- 10 ასო

№ 41-ში გამოქვეყნებული სკანვორდის პასუხები:

სურათზე — ოთარ კუტალაძე; მსუბუქი ქარი - ალალი; საჭრელი იარაღი — მაკრატელი; გიჟი — შეშლილი; უბანი ოზურგეთში — ექადა; ქართველი პოეტი - აბაშელი; შ. დადიანის სოფელი ჭიათურაში — რგანი; ქონდრის ჯაკი — ლილიპუტი; ჩქარის ანტიპოდი — ნელი; მწვანე კონტინენტი — ავსტრალია; უზბეკეთის დედაქალაქი — ტაშკენტი; გამზრდელი — გადა; გორაჩოვის მეულლე — რაისა; ცეცხლის ენა — ალი; ექვსიანი ნარდში — შაში; ილეთი ჭიდაობაში — სარმა; სასიმინდე — ნალია; ასკანიანი სოფელი — ასკანა; მსოფლიოს ექსრემპიონი ჭადრაკში — ტალი; მაროს დაქალი — კეკელა; ქალის სახელი — ამალია; ცხიმი — ერბო; დასასვენებელი ადგილი — აგარაკი; მინერალური წყალი — ზვარე; საფეხბურთო ტერმინი — კუთხური; ქიმიური ელემენტი — კალა; ქალის სახელი — ასია; იაპონიის დედაქალაქი - ტოკიო; დედამიწის თანმგზავრი — მთვარე; ქალაქი რაჭაში — ონი; დიახ — კი; კოლხთა მეფე — აიეტი; მესამე პირის ნაცვალსახელი — იგი; პატარა საწნახელი — ორე; ... ბენდერი — ოსტაპ; უთავო მხედრის ავტორი — რიდი; სოფელი სამეგრელოში — ლია; ძლიერი ქარი — გრიგალი; სიცილის კუნძული — სიცილია; მარვეე — მარდი; რაიონი აფხაზეთში — გალი.

ძველი ოზურგეთის ქრონიკები

ალეგრობა

სიტყვა“ ალეგრო“ იტალიურია და ნიშნავს მხიარულად! წლების მანძილზე ,,ალეგრობა“

ძველი ოზურგეთის საქალაქო საქველმოქმედო დღესასწაული და ნამდვილი ზეიმი იყო.ამ დღეს ,,ქალაქის ბაღად ,, წოდებულ დღევანდელი თეატრის ბაღი საზეიმოდ ირთვებოდა ყვავილებით, გირლიანდებით და ილუმინაციებით. ჩვეულებრივ ადრე ცარიელდებოდა ,,საპარესკევოდ“ წოდებული ქალაქის ბაზარი, სამიკიტნოები და დუქნები. ბაღში საგანგებოდ გაკეთებული ფიცარნაგებიდან ისმოდა **ვარლამ სიმონიშვილის, არტემ, ანანია** და **ვლადიმერ ერქომაიშვილების, გიგო მგელაძის, დომენტი ქარჩავას, შერმანდინ ჭკუასელის, ვარლამ ვაშალომიძის, ილარიონ სიხარულიძის, აპოლონ ჩავლეშვილის** და გურული ჰანგის სხვა ჯადოქართა სიმღერები იქვე საცეკვაოდ სპეციალურად მორთულ ფიცარნაგზე **ნიჟა ლომინაძის** ცხემლისხიდელ მოცეკვავეთა ჟგუფი ძველებურ“ ხორუმსა“, და სხვა ქორეოგრაფიულ მინიატურებს ასრულებდა. პოეზიის მოყვარულები კითხულობდნენ ლექსებს, მსახიობები წარმოადგენდნენ მუსიკალურ ნაწყვეტებს სპექტაკლებიდან .

საპროექციო აპარატით უშვებდნენ სამხედრო თემაზე გადაღებულ კინოსურათებს.ჭადრების ქვეშ სპეციალურ ჯიხურში იყიდებოდა **კოწია თავართქილაძის** სტამბაში დაბეჭდილი ,,ვეფხისტყაოსანი“ და ქართველ ავტორთა სხვა წიგნები.ხეივნებში დადგმულ მოლბერტებზე ჩანახატებს აკეთებდნენ ოზურგეთელი მხატვრები :**ანტონ გოგიაშვილი,შალვა ქიქოძე,ლადო მალაზონია, ალიოშა მკურნალი,შოთა დარჩია** და სხვა.“პო დიკიმ სტეპიამ ზაბაიკალია“-მღეროდა **ვანიჩკა ასათიანის** არღანი. მწვანე მოლზე იმართებიდა ცეკვა-თამაში და ჭიდაობა. ყოველი“ ალეგრობის“ უცვლელი მონაწილე გახლდათ **კიკოლია თაყაიშვილი** და მისი ,,სიკინჭილა“(სპეციალური მაგიდა ნივთების ლატარეისათვის),ნაძვების ჩრდილში თამაშობდნენ ჭადრაკს, ლოტოს და ნარდს. მონაწილეთათვის დიდი პატივი იყო თუ თამაშში საქალაქო ხელისუფლების თავკაცები ჩაებმებოდნენ,ადრეულ წლებში **პლატონ ბერიძე** ,შემდეგ კი **ვასილ ხუნდაძე** სპეციალურად ,,ალეგროს“ დღისათვის მოწყობილ გუბურაში სალტოს სროლით გაშვებულ იხვს თუ დაიჭერდი,ის შენი საკუთრება ხდებოდა და ოჯახისათვის საცივიც გარანტირებული გქონდა.დამსწრენი მოსვენებას არ აძლევდნენ ოზურგეთელ ფოტოგრაფებს. **ბესარიონ ტურძელაძეს, ვანო ნაკაიძეს, გიორგი ჩხარტიშვილს, ხარიტონ ხომერიკს** და **ვასო ლომაძეს,**რომლებიც სამახსოვრო სურათებს იღებდნენ. ყოველი ოზურგეთელი ქალი და კაცი ცდილობდა ალეგროზე თავი მოეწონებია ახალი ჩაცმულობით ე.ი. ,,ალეგრო“ მოდების თავისებური დემონსტრაციაც იყო. დღესასწაულის მონაწილე, ყველაზე ლამაზ ქალიშვილს პრიზად გადასცემდნენ **ქადეიშილების ოჯახში** სპეციალურად გამომცხვარ,,სამეფო ტორტს“, შემდეგ კი ოზურგეთის ყველაზე კომფორტულ და პრესტიჟული ტრანსპორტით-**სიმონ გორგოშიძის** თეთრი ვარდებით მორთული ფაეტონით მთელ ქალაქს შემოტარებდნენ.“ ალეგროზე“ თამაშთებოდა ლატარეა, მუშაობდა ,,სიყვარულის ფოსტა“. ბაღის მთელ სიგრძეზე იდგა მაგიდები მშრალი საჭმელებით. ბაღის შესასვლელთან სოფლიდან ყიდნნენ,თაფლს, ჯანჯუხას, თაფლის არაყს ,ტკბილ კვერს....დღესასწაული გვიან ღამემდე გრძელდებოდა ,,მთავრდებოდა სამეჯლისო ცეკვებით-ფოქტროტითა და და ვალსით,რომლის დამთავრებისას ,,ქალაქის ბაღს“ ცეცხლოვანი ფეიერვერკი გააჩიაღდნებდა, რაც ხალხის დაშლას მოასწავებდა. ალეგროს ჩატარების ხარჯები იფარებოდა ბილეთების რეალიზაციით.გათამაშებული ლატარეიის შემოსავლებით და შეძლებულ ოჯთა შემოწირულობებით. მიღებული მოგება გამოიყენებოდა ქალაქის საჭიროებისათვის.

უფრო მცირე მაშტაბის ,,ალეგროებიც“ ეწყობოდა :სერის უბნის სკოლის ბაღში, ჩაის ტექნოლოგიური ტექნიკუმის,რუსული საშუალო სკოლის, პედაგოგიური სასწავლებლის,სკოლა-ინტერნატისა და ქალაქის პირველი სკოლის კურსდამთავრებულები სასწავლო წლის დასრულებისას თავიანთ დღესასწაულს მართავდნენ.

ამდენად ძველ ოზურგეთს საქალაქო დღესასწაულის ჩატარების მშვენიერი ტრადიცია ჰქონდა, რომელიც, როგორც ამბობენ ომის დაწყებამ შეაჩერა. აგერ უკვე სამი ოთხი წელია ოზურგეთის ისტორიული მუზეუმის ინიციატივით და რაიონის ხელმძღვანელობის ძალისხმევით გაცოცხლდა ეს მშვენიერი დღესასწაული,რომელიც იმართებოდა და ახლაც იმართება ყოველი წლის ოქტომბრის თვის ბოლო დასვენების დღეს.

მანანა ლომაძე

ოზურგეთის ისტორიული მუზეუმის ფონდების მცველი

სულთათანა

ლადო არობელიძის გახსენება

ცამ დაიქუხა, ზარმა დარეკა 2017 წლის 21 სექტემბერს, 59 წლის ასაკში მოულოდნელად შეწყდა შენი გულის ცემა, წახვედი და დაგვიტოვე უსაზღვრო გულისტკივილი და სევდიანი მოგონებები.

ჩემო ლადო, იყავი კარგი მეუღლე, მამა, ბაბუა, მეგობარი, სიკეთით სავსე, სტუმართმოყვარე ადამიანი. მოსკოვში საქართველოდან ჩასულ ყველა მეგობარს სახლის კარს უღებდი, დიდსა და პატარას გულშემატკივრობდი, რითაც შეგეძლო, ეხმარებოდი.

ყოველი წლის ზაფხულში სტუმრობდი შენს საყვარელ გურიას, ოზურგეთს, ჩვენ კი მოუთმენლად ველოდით შენს სტუმრობას ოზურგეთის ერთ-ერთ უბანში (ექადია), წმინდა გიორგის ქუჩაზე.ჩემს სამსახურთან სიგნალით შემოდიოდი, მამცნობდი მოვედიო, შენს მეუღლეს ნანას გადახედავდი, გაიხარე, შენს მეგობარ ცირასთან მოგიყვანეო.

თქვენი მოსვლით მხიარულება შემოგქონდათ. იყავი საამაყო სიძე, გაფასებდნენ ოჯახში, კუთხეში, ქალაქში, რაიონში, ქვეყანაში.

ლადო, ყველაფერი გააკეთე იმისათვის, რომ საქართველოში მეუღლესთან ერთად ჩამოსულიყავი და აქ გაგეგრძელებინა დარჩენილი ცხოვრება. შეიძინეთ ბინა, რომლის კარის გაღება და ახალი ბინის დალოცვა ვერ მოასწარით.

სიცოცხლე გრძელდება, შემოდგომას ზამთარი მოსდევს, სიცივე დაისადგურებს. გაივლის წლები, დრო, შენს საფლავთან ყვავილებით მოვლენ შენი ნანა, შვილები, სიძე, შვილიშვილები, მეგობრები და სანთლებს აგინთებენ.

ღმერთმა ადიდოს შენი სპეტაკი სული იმ მარადიულ სასუფეველში, სადაც უკვდავნი სუფევენ, შენი სახე კი აქ ცოცხლობს და კვლავაც იცოცხლებს ახლობლების, მეგობრებისა და საყვარელი ოჯახის გულში.

ათვლა შეწყვიტეს შენმა წამებმა...
იყავ სიკეთის გზებით მავალი,
არაფერია გარდაცვალება,
მამა არ კვდება, არის მთავარი.

ტოტებდახრილი დგას მიმოზები,
შორს მოწყენილი თეთრი მთებია,
შენნაირ კაცებს ანგელოზები
ზეცის კარებთან ელოდებიან.

გულმკვდარი **ც. ჩიჯავაძე.**

წმ. გიორგის ქ.

გაზეთი ,,ალიონი“ თანაუგრძნობს გიო კილაძეს, მამის ბატონი **გრიშა კილაძის** გარდაცვალების გამო.

იყიდება

საცხოვრებელი სახლი ქ. ოზურგეთში, დ. ბაქრაძის ქ.№5; ეზოში ხეხილით: ვენახი, თხილი; ფისქვილი; საბოსტნე ნაკვეთი. დაგვიკავშირდით:
(555) 97 90 07; (599) 29 98 65.

სოფელ ბაილეთში თხილით გაშენებული 0,82 ჰექტარი მიწის ნაკვეთი, კაპიტალურად შეღობილი ხის „კუხნა“ სახლით. პერსპექტიულია სამოსახლოდ და მეურნეობისათვის. 250 ძირი თხილი მსხმოიარეა, 150 ძირი – 2 წლის. დაგვიკავშირდით: (599) 44 15 49; (599) 03 94 95 (იკითხეთ თამაზი)

უფასო განცხადება ტალონი

90 ბეჭდითი ნიშანი უფასოდ!

ძვირფასო მკითხველო, გაზეთი ,,ალიონი“ გთავაზობთ სერვისს ,,უფასო განცხადების ტალონი“, რომლის მოცულობა შეადგენს 90 ბეჭდვით ნიშანს და იგი თქვენი საჩუქარია. 90 ბეჭდვით ნიშანზე გადაცილებული ყოველი სიტყვისათვის გადასახდელი გექნებათ მხოლოდ 25 თეთრი.

გაზეთიდან ამოჭრილი და შევსებული ტალონი შეგიძლიათ წარმოადგინოთ რედაქციაში, გაბრიელ ეპისკოპოსის №3-ში.

უფასო განცხადების ტალონი ბეჭდვით მედიასაშუალებებში საჭიანი განცხადებების გამოქვეყნების ყველაზე იაფი საშუალებაა.

ისარგებლეთ ჩვენი მომსახურებით.



ჩვენმა 17-წლამდელებმა მონტენეგრო დაამარცხეს და შემდეგი ეტაპის საგზური მოიპოვეს

საქართველოს 17-წლამდელთა ნაკრებმა 27 ოქტომბერს ევროპის ჩემპიონატის შესარჩევი ციკლის მეორე ტურში მიხეილ მესხის სახელობის სტადიონზე მონტენეგროს უმასპინძლა, გააზრებული ფეხბურთი ითამაშა და 2:0 გაიმარჯვა.

ჩვენი გუნდი თავიდანვე დაეუფლა ტერიტორიულ და სათამაშო უპირატესობას და მეტოქის კარზე იერიშების მიტანაც დაიწყო. სახიფათო მომენტებიც მრავლად შექმნა: გულიაშვილმა თავით ააცილა ბურთი კარს, შალიკაშვილის შორიდან დარტყმული ბურთი ძელს მოხვდა, შემდეგ გულიაშვილმა და კვარაცხელიამ ვერ მოახერხეს გოლის გატანა და ამდენი ცდის მერე როგორც იქნა, ანგარიშიც გაიხსნა. გაიხსნა მეტად ლამაზი კომბინაციის შედეგად. მარჯვენა ფლანგიდან გაჭრილმა კაპანაძემ გადაცემა გულიაშვილს გაუკეთა, მან ბურთი კოხტად დაუგდო დავითაშვილს და ამ უკანასკნელმა სლავთა მეკარის ცხრიანი დალაშქრა.

ჩერნოგორიელებს სულ უფრო უჭირდათ ქართველების შეტევების მოგერიება, უხეშობდნენ, 31-ე წუთზე გულიაშვილის შეჩერება ოსმანოვიჩმა მხოლოდ წესების დარღვევით მოახერხა, მეორე ყვითელი ბარათი მიიღო და სტუმართა გუნდი რიცხობრივ უმცირესობაში დარჩა.

სტუმრებს ისედაც უჭირდათ ქართველებთან ტოლ-სწორად პაექრობა, კაცნაკლულად დარჩენილები გამოუვალ მდგომარეობაში აღმოჩნდნენ, 46-ე წუთზე კვარაცხელიამ კოხტა გოლი გაუტანა რადულოვიჩს, 2:0 და შეხვედრის ბედიც გადაწყდა.

დარჩენილ დროში გიორგი ნემსაძის შეგირდები პრაქტიკულად გაისარჯნენ, თამაში ლოგიკურ დასასრულამდე მიიყვანეს და მორიგი 3 ქულა და შემდეგი ეტაპის საგზური მოიპოვეს.

დღესვე დავით პეტრიაშვილის სახელობის სტადიონზე იტალიის ნაკრებმა ლატვიას 1:0 მოუგო, ისევე როგორც ჩვენს გუნდს 6 ქულა აქვს და მესამე ტურში მათ შორის დაპირისპირებაში გაირკვევა რომელი დაიკავებს პირველს და რომელი მეორე ადგილს.

„ქართული მარში“ ნაკრებისთვის ბოიკოტის გამოცხადებას აპირებს

„ქართული“ მარში საქართველოს ფეხბურთელთა ნაკრები გუნდისათვის ბოიკოტის გამოცხადებას გეგმავს.

„10 -ში უწევს საქართველოს ნაკრებს თამაში!!! ბოიკოტი ბოიკოტი ბოიკოტი!!!“ - წერს ფეისბუგვერდზე „ქართული მარშის“ ერთ-ერთი ლიდერი ლადო სადღობელაშვილი. მას ბაკურ სვანიძე იდეას სთავაზობს:

„მივიდეთ და ტრიბუნებზე დავდგეთ მინდვრისკენ ზურგით! ეს უფრო აქტიური და ეფექტური პროტესტია!“

ცნობისათვის: მოსალოდნელი ბოიკოტი უკავშირდება იმას, რომ ცოტა ხნის წინათ ჰოლანდიის ჩემპიონატის ერთ-ერთ მატჩში გურამ კაშიას, როგორც გუნდის კაპიტანს, სტადიონზე გუნდის გამოყვანისას ლგდმპ სიმბოლიკიანი სამკლაური ეკეთა.

„რა თქმა უნდა, ჩვენ ისევ შევეცდებით ყველა ტიტულის მოგებას“

მადრიდის „რეალის“ თავდამსხმელი, კრიშტიანუ რონალდუ FIFA-მ წლის საუკეთესო ფეხბურთელად დაასახელა. მან ამასთან დაკავშირებით პირველი კომენტარი გააკეთა :

„ეს შესანიშნავი მომენტია. თავს ძალიან ბედნიერად ვგრძნობ. მე 32 წლის ვარ და მსოფლიოს საუკეთესო ფეხბურთელად დამასახელეს - ფანტასტიკურია. არ ვიცი რა იქნება მომავალ სეზონში. ახლა ამ მომენტით უნდა დავტკბე. რა თქმა უნდა, ჩვენ ისევ შევეცდებით ყველა ტიტულის მოგებას. “

შეგახსენებთ, რომ რონალდუმ ფინალში მესი და ნეიმარი დაამარცხა.

პელეს ორი 7-იანი

23 ოქტომბერს მსოფლიოს სამგზის ჩემპიონს, ფეხბურთის მეფეს **პელეს** (ედსონ არანტეს დო ნასიმენტო) 77 წელი შეუსრულდა.

ვულოცავთ!



ღვაწლით დამშვენებულს, არაჩვეულებრივ პედაგოგს, ლოტბარს და პოეტს, მრავალი წიგნის ავტორს, ლამაზი ოჯახის თავკაცს, უკეთილშობილეს ადამიანს, ბატონ **ფიდარ დონაძეს** ვულოცავ საიუბილეო თარიღს, დაბადებიდან 80 წლის იუბილეს!

ვუსურვებ ჯანმრთელობას, სიხარულით სავსე დღეებს, წლებს... კვლავ ჩვეული ენერგიით, ხელოვნებისადმი უსაზღვრო სიყვარულით, პოეტური ნიჭით და უნარით დიდხანს ეღვაწოს მომავალი თაობისა და მამულის საკეთილდღეოდ.

მადლობა იმ გულთბილი სტრიქონებისათვის, რომელიც ლექსად მომიძღვენით.

უღრმესი პატივისცემით,
თქვენი მეგობარი
ნანი სალუქვაძე

ავტომობილები განვადებით

„იმპორტი-2“ გთავაზობთ ავტომობილების და სხვა სატრანსპორტო საშუალებების ტრანსპორტირებას აშშ, ევროპის და იაპონური (მარცხენა საჭე) სადილერო კომპანიებიდან და აუქციონებიდან. ასევე ავტო განვადებას: პირველადი შესატანი ღირებულების 40%, დარჩენილი თანხა გადანაწილდება მაქსიმუმ 36 თვეზე. ასევე მოქმედებს შიდა 0% განვადება. უპრეცედენტოდ დაბალი ტარიფები მომსახურებაზე და ტრანსპორტირებაზე. უფასო კონსულტაცია.

ტელ. 595 11 10 30, ზურა, მისამართი: 26 მაისის ქ.№ 11ა.

7 დღის ამინდის პროგნოზი

ჭექა-ქუხილი +7+16	წვიმა +5+11	წვიმა +3+9	მზე, +6+15	მზე, ღრუბელი +6+12	წვიმა +5+8	წვიმა +10+15
30 ოქტომბერი ორშაბათი	31 ოქტომბერი სამშაბათი	1 ნოემბერი ოთხშაბათი	2 ნოემბერი ხუთშაბათი	3 ნოემბერი-პარასკევი	4 ნოემბერი შაბათი	5 ნოემბერი კვირა